ეროვნული ანგარიშების სისტემის ძირითადი კატეგორიები

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (ეას) წარმოადგენს ლოგიკურად თანამიმდევრულ, ინტეგრირებულ მაკროეკონომიკურ ანგარიშთა, ბალანსებისა და ცხრილების სისტემას, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო დონეზე შეთანხმებულ ცნებებს, განმარტებებს, კლასიფიკაციებს და აღრიცხვის წესებს.

საქართველოს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ევროგაერთიანების სტატისტიკური კომისიის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მსოფლიო ბანკის მიერ რეკომენდებული ეროვნულ ანგარიშთა სისტემის (ეას 2008/SNA 2008) სტანდარტული მეთოდოლოგია.

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) არის დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქვეყანაში წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების საბაზრო ფასებით გამოხატული მთლიანი ღირებულება. ის განისაზღვრება ასევე, როგორც ეკონომიკის ყველა დარგის დამატებული ღირებულების ჯამი.

ტერმინი "მთლიანი" ზოგადად გულისხმობს მაჩვენებლების გამოსახვას ძირითადი კაპიტალის მოხმარების ჩათვლით, ხოლო ტერმინი "წმინდა" – ძირითადი კაპიტალის მოხმარების გარეშე. ანგარიშებში ყველა ძირითადი დამაბალანსებელი მუხლი შეიძლება ჩაიწეროს როგორც "მთლიანი", ასევე "წმინდა" სახით.

გარდა ამისა, ტერმინი „წმინდა" გვხვდება გადასახადებთან, შემოსავლების/ტრანსფერების მიღებასთან და ექსპორტთან მიმართებაშიც. **წმინდა გადასახადები** აღნიშნავს გადასახადებისა და სუბსიდიების სხვაობას, **შემოსავლების/ტრანსფერების წმინდა მიღება** - მიღებასა და გადახდას შორის სხვაობას, ხოლო **წმინდა ექსპორტი** - ექსპორტსა და იმპორტს შორის სხვაობას.

მთლიანი გამოშვება არის დროის გარკვეულ პერიოდში ეროვნული ეკონომიკის მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების ერთობლიობა საბაზრო ფასში.

შუალედური მოხმარება შედგება იმ საქონლისა და მომსახურების ღირებულებისაგან,

რომელიც მთლიანად მოიხმარება წარმოების პროცესში. შუალედური მოხმარება არ მოიცავს ძირითადი კაპიტალის მოხმარებას.

მთლიანი დამატებული ღირებულება წარმოადგენს სხვაობას მთლიან გამოშვებასა და შუალედურ მოხმარებას შორის.

გადასახადები პროდუქციასა და იმპორტზე (პროდუქციაზე გადასახადები) – სავალდებულო დაუბრუნებელი გადასახდელები, რომელიც დარიცხულია სახელმწიფოს მიერ საწარმოო ერთეულების მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების ან იმპორტის მოცულობის პროპორციულად. პროდუქციაზე გადასახადებს მიეკუთვნებიან: დამატებული ღირებულების, აქციზის, იმპორტის და საბაჟო გადასახადები.

სხვა გადასახადები წარმოებაზე დაკავშირებულია წარმოების ფაქტორების (შრომა, მიწა, კაპიტალი) გამოყენებასთან. მათში აგრეთვე შედის გადასახდელები ლიცენზიებისათვის.

სუბსიდიები წარმოებასა და ექსპორტ-იმპორტზე – სახელმწიფოს მიერ გაცემული მიმდინარე, უსასყიდლო, დაუბრუნებელი გადახდები, რომლებიც გარკვეული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის გატარების მიზნით ეძლევათ საწარმოო ერთეულებს იმ დანაკარგებისათვის, რომელიც წარმოიშობა მაშინ, როდესაც წარმოებული პროდუქციის გასაყიდი ფასი წარმოების საშუალო დანახარჯებზე დაბალია.

მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მეშ) წარმოების ფაქტორების მფლობელების მიერ მიღებული ერთობლივი შემოსავალია. რაოდენობრივი თვალსაზრისით მეშ მშპ-საგან განსხვავდება „დანარჩენი მსოფლიოდან“ (საზღვარგარეთიდან) მიღებული და „დანარჩენ მსოფლიოზე“ გასაცემი პირველადი შემოსავლების სალდოს სიდიდით.

„დანარჩენ მსოფლიოსთან“ ოპერაციების აღრიცხვისას მნიშვნელოვანი მაჩვენებლებია: პირველადი შემოსავლები, მიმდინარე და კაპიტალური ტრანსფერები. აღნიშნული მონაცემების წყაროა საქართველოს საგადასახდელო ბალანსი.

პირველადი შემოსავლები ყალიბდება რეზიდენტი ერთეულების მიერ მშპ-ის წარმოების პროცესში შექმნილი ღირებულებების პირველადი განაწილების პროცესში. მასში შედის: შრომის ანაზღაურება, წმინდა გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე, მთლიანი მოგება, მთლიანი შერეული შემოსავლები და შემოსავლები საკუთრებიდან. **საკუთრებიდან შემოსავლები** ინსტიტუციური

ერთეულების მიერ ფინანსური და არაფინანსური მატერიალური აქტივების გამოსაყენებლად გადაცემის შედეგად დარიცხული შემოსავლებია. მათ მიეკუთვნება საპროცენტო შემოსავლები, დივიდენდები, რენტა, საწარმოთა მფლობელების შემოსავლების მიღება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეინვესტირებული შემოსულობები და სხვა.

მიმდინარე ტრანსფერებში აღირიცხება მიმდინარე ოპერაციები, როდესაც ერთი ინსტიტუციური ერთეული მეორეს გადასცემს საქონელს, მომსახურებას ან აქტივებს რაიმე სანაცვლო ექვივალენტის მიღების ან ვალდებულების წარმოშობის გარეშე. ასეთი ოპერაციები წარმოებს როგორც ფულადი, ისე ნატურალური ფორმით. „დანარჩენ მსოფლიოსთან“ ოპერაციების მიმდინარე ტრანსფერებში შედის საზღვარგარეთ მომუშავე საქართველოს რეზიდენტ მუშაკთა და საქართველოში მომუშავე არარეზიდენტ მუშაკთა გზავნილებიც.

კაპიტალური ტრანსფერების ოპერაციები მოიცავს ინსტიტუციურ ერთეულებს შორის ფულადი ან ნატურალური სახით (როგორც წესი საინვესტიციო მიზნით) აქტივების უსასყიდლოდ გადაცემას. კაპიტალური ტრანსფერები ჩვეულებრივ ერთდროულია და მნიშვნელოვანი სიდიდისაა. მათში შედის კაპიტალზე გადასახადები, საინვესტიციო სუბსიდიები, სხვა კაპიტალური ტრანსფერები (მემკვიდრეობის მიღება, ზარალის პატიება და სხვა).

მთლიანი განკარგვადი შემოსავალი არის მთლიანი ეროვნული შემოსავლისა და ქვეყნის რეზიდენტების მიერ „დანარჩენი მსოფლიოდან" მიღებული მიმდინარე წმინდა (მისაღები გასაცემის გამოკლებით) ტრანსფერების ჯამი. ეს არის შემოსავალი, რომელსაც განკარგავენ რეზიდენტები საბოლოო მოხმარებისა და დაზოგვისთვის.

მთლიანი მოგება და შერეული შემოსავლები – მთლიანი დამატებული ღირებულების ნაწილი, რომელიც რჩება მწარმოებლებს (კორპორაციებს) შრომის ანაზღაურებისა და წარმოებაზე წმინდა გადასახადების გადახდის შემდეგ. **მთლიანი შერეული შემოსავლები** შინამეურნეობების საკუთრებაში არსებული არაკორპორაციული საწარმოების შემოსავლებია. იგი მოიცავს როგორც შინამეურნეობათა შრომით ანაზღაურებას, ისე ამ საწარმოთა მოგებას.

დანახარჯები საბოლოო მოხმარებაზე – შინამეურნეობების დანახარჯები სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე, აგრეთვე სახელმწიფო მმართველობის ორგანოების და შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციულ ორგანიზაციათა (შმაკო) დანახარჯები ინდივიდუალური და საზოგადოებრივი მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ხარჯები ინდივიდუალური მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე – სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული მოსახლეობისათვის გაწეული უფასო მომსახურება განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის სფეროში.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ხარჯები კოლექტიურ მომსახურებაზე – სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული უფასო მომსახურება არა ცალკეული შინამეურნეობებისათვის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის ან მოსახლეობის გარკვეული ჯგუფისათვის. ამ მაჩვენებელში შედის თავდაცვის, სახელმწიფო მმართველობის, არასაბაზრო მეცნიერების და სხვა ხარჯები.

შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების (შმაკო) ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე – პირობითად მიღებულია, რომ ეს ორგანიზაციები (პოლიტიკური პარტიები, რელიგიური ორგანიზაციები, პროფკავშირები, საზოგადოებრივი გაერთიანებები) ეწევიან მხოლოდ ინდივიდუალურ მომსახურებას.

მთლიანი დანაზოგი მთლიანი განკარგვადი შემოსავლის ნაწილია, რომელიც არ იხარჯება საქონლისა და მომსახურების საბოლოო მოხმარებაზე.

მთლიანი კაპიტალის ფორმირება მოიცავს ძირითადი კაპიტალის მთლიან ფორმირებას, მარაგების ცვლილებას და ფასეულობათა წმინდა შეძენას.

ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება – ძირითადი კაპიტალის ობიექტებში ჩადებული ინვესტიციები მომავალში ახალი შემოსავლების მიღებისათვის მათი წარმოებაში გამოყენების გზით.

ძირითადი კაპიტალი – წარმოების შედეგად მიღებული ან არაწარმოებული აქტივები, რომლებიც მრავალჯერადად, ჩვეულებრივ ერთ წელზე მეტ პერიოდში გამოიყენება წარმოების პროცესში.

მარაგების ცვლილება მოიცავს საწარმოო მარაგების ღირებულების ცვლილებას. კერძოდ, დაუმთავრებელ წარმოებას, ნედლეულსა და მასალას, მზა პროდუქციას და საქონელს შემდგომი გაყიდვისათვის.

ფასეულობათა წმინდა შეძენა – შეძენა აქტივების გაყიდვის გამოკლებით, შეძენა, როგორც ღირებულების შენარჩუნების საშუალება: ძვირფასი ლითონებისა და ქვების, ანტიკვარული

ნაკეთობებისა, სახვითი ხელოვნების ნიმუშებისა და კოლექციების.

წმინდა დაკრედიტება (+) ან წმინდა სესხება (-) – გადამეტება ან დეფიციტი ინვესტიციების დაფინანსების წყაროებსა და არაფინანსური აქტივების წმინდა შეძენის ხარჯებს შორის. მთლიანად ეკონომიკის მასშტაბით წმინდა დაკრედიტება ან წმინდა დავალიანება გვიჩვენებს რესურსების მოცულობას, რომელიც გადასცა ქვეყანამ „დანარჩენ მსოფლიოს" და პირიქით.

საქონლისა და მომსახურების ექსპორტი და იმპორტი მოიცავს მოცემული ქვეყნის საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციებს სხვა ქვეყნებთან.

შეფასების პრინციპები

ეას-ში ეკონომიკური ოპერაციები აღირიცხება მათი განხორციელების მომენტისათვის არსებულ მიმდინარე საბაზრო ფასებში **დარიცხვის** მეთოდით. პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) გამოშვების შეფასება ხდება **საბაზისო** ფასებში, შუალედური მოხმარების კი - **მყიდველის** ფასებში.

საბაზისო ფასი არის თანხა, რომელსაც მწარმოებელი იღებს წარმოებული პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) სანაცვლოდ (საკომპენსაციოდ), მისი წარმოების ან გაყიდვის გამო ყველა სახის გადასახადის გამოკლებით და სუბსიდიის დამატებით.

მყიდველის ფასი არის თანხა, რომელსაც იხდის მყიდველი (გამოსაქვითი დღგ-ის ან ყველა სხვა სახის გამოსაქვითი გადასახადის გამოკლებით) მოცემულ დროსა და ადგილზე პროდუქციის (საქონლის და მომსახურების) მიწოდების სანაცვლოდ. ეს ფასი მოიცავს მწარმოებლის მიერ ცალკე დამატებით ტრანსპორტირების ან სხვა სახის მომსახურების ხარჯებს.

მყიდველის ფასი = საბაზისო ფასი + სავაჭრო-სატრანსპორტო დარიცხვა + გადასახადები-სუბსიდიები პროდუქციაზე.

საბაზრო ფასი = საბაზისო ფასი + გადასახადები - სუბსიდიები პროდუქციასა და იმპორტზე.

გაანგარიშების მეთოდები

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება ხორციელდება სამი მეთოდით:

- **წარმოების მეთოდით** - რეზიდენტი ეკონომიკური ერთეულების მიერ საწარმოო საქმიანობის შედეგად შექმნილი დამატებული ღირებულებების ჯამს დამატებული გადასახადები პროდუქციასა და იმპორტზე (დღგ, აქციზი და საბაჟო გადასახადი) და დაკლებული სუბსიდიები პროდუქციაზე;
- **შემოსავლების მეთოდით** - რეზიდენტი ერთეულების პირველადი შემოსავლების (შრომის ანაზღაურება, პროდუქციასა და იმპორტზე წმინდა გადასახადები, მთლიანი საოპერაციო მოგება და მთლიანი შერეული შემოსავლები) ჯამი;
- **საბოლოო მოხმარების მეთოდით** - საბოლოო მოხმარების ხარჯების (შინამეურნეობების ხარჯები სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე, სახელმწიფო მართვის ორგანოების ხარჯები ინდივიდუალურ და კოლექტიურ საქონელსა და მომსახურებაზე, შმაკო-ს საბოლოო მოხმარების ხარჯები), მთლიანი კაპიტალის ფორმირებისა და წმინდა ექსპორტის ჯამი.

ზრდის ინდექსები

- მთლიანი ეკონომიკისათვის **ზრდის ინდექსი** წარმოადგენს საქმიანობის სახეების მიხედვით გაანგარიშებულ წინა წლის წონებით შეწონილ (ლასპეირესის) ინდექსს.
- **ჯაჭვური ინდექსი** იანგარიშება ზრდის ინდექსების საფუძველზე: წინა წლის შესაბამისი პერიოდის (ან წინა წლის საშუალო წლიური) ჯაჭვური ინდექსი მრავლდება მიმდინარე წლის კვარტალის ზრდის ინდექსზე ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით.
- **რეალური ზრდის ინდექსები** ასახავენ ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით დამატებული ღირებულების რეალური ზრდის მაჩვენებლებს საანგარიშო პერიოდში წინა წლის შესაბამის პერიოდთან (ან წინა წლის საშუალო წლიურთან) შედარებით.
- **კუმულატიური ზრდის ინდექსები** ასახავენ ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით დამატებული ღირებულების რეალური ზრდის მაჩვენებლებს კვარტალების მიხედვით საანგარიშო წლის დასაწყისიდან წინა წლის შესაბამის პერიოდთან (ან წინა წლის საშუალო წლიურთან) შედარებით.

მთლიანი შიდა პროდუქტი მუდმივ ფასებში, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა და დეფლატორი

SNA 2008 მეთოდოლოგიის მიხედვით რეკომენდებულია მშპ-ის რეალური ზრდის ინდექსის კვარტალური პერიოდულობით გაანგარიშება. ამასთან, **რეალური ზრდის** მაჩვენებელი გაიანგარიშება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მიმართ მუდმივ ფასებში გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტის მონაცემების საფუძველზე.

მშპ-ის **მუდმივ ფასებში** გადაყვანა წარმოების მეთოდით გაანგარიშებული მაჩვენებლების მიხედვით ხდება ორმაგი დეფლირების გზით. ეს ხორციელდება ფასების შესაბამისი ინდექსების მეშვეობით, საქმიანობის სახეების მიხედვით მთლიანი გამოშვებისა და შუალედური მოხმარების ცალ-ცალკე დეფლირებით და შემდეგ მათი სხვაობის გამოთვლით. დანახარჯების მეთოდით გაანგარიშებული მშპ-ის მუდმივ ფასებში გადაყვანა ხორციელდება მშპ-ის გამოყენების ძირითადი კატეგორიების ფასების შესაბამისი ინდექსების მეშვეობით.

მშპ-ის რეალური ზრდა არის ქვეყანაში წარმოების მიღწეული დონის პროცენტული ცვლილების საზომი.

მშპ-ის დეფლატორი არის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ყველა ახალი შიდა წარმოების საბოლოო პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) ფასების ცვლილების საზომი. ის წარმოადგენს თანაფარდობას მშპ-ის ნომინალურ ზრდასა და რეალურ ზრდას შორის.

დაუკვირვებადი ეკონომიკა

დაუკვირვებადი ეკონომიკა იზომება საქმიანობის სახეების მიხედვით სტატისტიკური ინფორმაციის არსებულ სტანდარტულ წყაროებში სხვადასხვა მიზეზით მოუცველი საქმიანობის, პროდუქციის, შემოსავლების, მოხმარების ან სხვა ეკონომიკური ოპერაციების მოცულობით. მისი შეფასებისათვის გამოიყენება როგორც პირდაპირი კვლევის შედეგები, ასევე არაპირდაპირი შეფასებები.

მრეწველობის პროდუქციის ინდექსი

მრეწველობის პროდუქციის ინდექსი ასახავს მრეწველობის სფეროში შექმნილი პროდუქციის მოცულობის ცვლილებას. მისი გაანგარიშება ხორციელდება მრეწველობის სფეროში შექმნილი პროდუქციის დამატებული ღირებულების დეფლირების გზით. დეფლირების შედეგად თითოეული პერიოდის დამატებული ღირებულება გამოისახება საბაზისო წლის ფასებში. მრეწველობის სფერო მოიცავს NACE rev.2 კლასიფიკატორის B (სამთომოპოვებითი მრეწველობა), C (დამამუშავებელი მრეწველობა) D (ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდებადა) და E (წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები) სექციებს. ინდექსების დინამიკური მწკრივების სეზონური შესწორებისას გამოიყენება Tramo/Seats მეთოდი, რომელსაც ითვალისწინებს ავტომატიზებული "JDemetra 2.0" პროგრამა.

რესურსებისა და გამოყენების ცხრილები

რესურსებისა და გამოყენების ცხრილები უზრუნველყოფენ საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და მათი გამოყენების დეტალური ანალიზის შესაძლებლობას. რესურსებისა და გამოყენების მატრიცის **რესურსების** ნაწილი მოიცავს: პროდუქციის გამოშვებას, სავაჭრო-სატრანსპორტო დარიცხვას, გადასახადებს პროდუქციაზე, სუბსიდიებს პროდუქციაზე, საქონლისა და მომსახურების იმპორტს. **გამოყენების მხარე** კი მოიცავს შუალედურ მოხმარებას, ხარჯებს საბოლოო მოხმარებაზე, საქონლისა და მომსახურების ექსპორტს, მთლიანი კაპიტალის ფორმირებას.

რესურსების ცხრილში არსებული საქონელი და მომსახურება თავდაპირველად მოცემულია საბაზისო ფასებში. შემდეგ ხდება მათი გადაყვანა მყიდველის ფასებში. ამისათვის თითოეული სახის პროდუქციისათვის არსებულ რესურსებს საბაზისო ფასში ემატება მთლიანი დანარიცხები, რომელიც მოიცავს: სავაჭრო-სატრანსპორტო ფასნამატებს და გადასახადებს პროდუქციაზე (დღგ, აქციზი და საბაჟო გადასახადები) სუბსიდიების გარეშე.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ძირითად ანგარიშთა თანამიმდევრობა

ეროვნული ანგარიშების შედგენის მთავარი არსია განზოგადებული მაჩვენებლების სრული სისტემის ფორმირება ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა სტადიაზე და ამ მაჩვენებლების ურთიერთკავშირის უზრუნველყოფა. მიწოდებისა და გამოყენების ყველა სტადიას (წარმოება, შემოსავლების პირველადი განაწილება, შემოსავლების მეორადი განაწილება, საბოლოო მოხმარება და დაგროვება და სხვა) შეესაბამება სპეციალური ანგარიში ან ანგარიშთა ჯგუფი.

ამ ანგარიშებში ასახულია საქონლისა და მომსახურების მოძრაობა და შემოსავლები ყველა სტადიაში: მათი წარმოებიდან გამოყენებამდე, აგრეთვე არაფინანსური და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება.

ძირითადი ანგარიშები იყოფა **მიმდინარე** და **დაგროვების** ანგარიშებად. ყოველ ანგარიშს აქვს ორი მხარე (რესურსებისა და გამოყენების მხარე მიმდინარე ანგარიშებისათვის; ცვლილებები აქტივებში და ცვლილებები ვალდებულებებსა და წმინდა ღირებულებაში - დაგროვების ანგარიშებისათვის) და დამაბალანსებელი მუხლის სახით მიღებული მაკროეკონომიკური მაჩვენებელი. ანგარიშთა თანმიმდევრობაში ყოველი ანგარიშის საბალანსო მუხლი მომდევნო ანგარიშისათვის საწყის მაჩვენებელს წარმოადგენს.

წარმოების ანგარიში ასახავს ეას-ით განსაზღვრულ საქონლისა და მომსახურების წარმოების პროცესთან დაკავშირებულ ოპერაციებს. წარმოების ანგარიშის რესურსების მხარე მოიცავს მონაცემებს საქონლისა და მომსახურების მთლიანი გამოშვების შესახებ, ხოლო გამოყენების მხარე - შუალედურ მოხმარებასა და დამატებული ღირებულების მოცულობას. ამ ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია **დამატებული ღირებულება.**

შემოსავლების ფორმირების ანგარიში გვიჩვენებს პირველადი შემოსავლების სახეებს მათი წარმოშობის შემდეგი წყაროების მიხედვით: შრომის ანაზღაურება, შერეული შემოსავალი, მოგება, წმინდა გადასახადები (გადასახადებსა და სუბსიდიებს შორის სხვაობა) წარმოებასა და იმპორტზე.

პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში რეზიდენტ ინსტიტუციონალურ ერთეულებსა და სექტორებს წარმოგვიდგენს როგორც პირველადი შემოსავლების მიმღებს და არა როგორც ამ შემოსავლების წარმოების პროცესის შედეგად შექმნილს. ეს ანგარიში ასახავს როგორც

პირველად, ასევე საკუთრებიდან შემოსავლებს. ამ ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია **ეროვნული შემოსავალი**.

მთლიანი ეროვნული შემოსავალი = მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში + პირველადი შემოსავლების წმინდა მიღება დანარჩენი მსოფლიოდან

შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში გვიჩვენებს, თუ როგორ გარდაიქმნება ეროვნული შემოსავალი განკარგვად შემოსავლად მიმდინარე ტრანსფერების მეშვეობით; ამ ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია **მთლიანი განკარგვადი შემოსავალი.**

მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი = მთლიანი ეროვნული შემოსავალი + მიმდინარე ტრანსფერების წმინდა მიღება დანარჩენი მსოფლიოდან

განკარგვადი შემოსავლების გამოყენების ანგარიში გვიჩვენებს, თუ როგორ ნაწილდება განკარგვადი შემოსავალი საბოლოო მოხმარების ხარჯებსა და დანაზოგებს შორის; ამ ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლია **მთლიანი დანაზოგი.**

მთლიანი დანაზოგი = მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი - ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე (შინამეურნეობების, შმაკო-ების და სახელმწიფო მართვის ორგანოების ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე).

კაპიტალის ანგარიში ასახავს არაფინანსური აქტივების შეძენასა და გაყიდვას და წმინდა ღირებულების ცვლილებას დანაზოგებისა და კაპიტალური ტრანსფერების მეშვეობით. მისი დამაბალანსებელი მუხლია **წმინდა დაკრედიტება / წმინდა სესხება** - ინსტიტუციური ერთეულის ან სექტორის განკარგულებაში არსებული თანხა სხვა ერთეულის ან სექტორის დასაფინანსებლად ან სხვა ერთეულის ან სექტორისგან სასესხებელი თანხა. იგი წარმოადგენს გადამეტებას ან დეფიციტს ინვესტიციების ფინანსირების წყაროებსა და არაფინანსური აქტივების წმინდა შეძენის ხარჯებს შორის. მთლიანად ეკონომიკის მასშტაბით წმინდა დაკრედიტება ან წმინდა სესხება გვიჩვენებს რესურსების მოცულობას, რომელიც გადასცა ქვეყანამ დანარჩენ მსოფლიოს ან პირიქით.

წმინდა დაკრედიტება (+), წმინდა სესხება(-) =

მთლიანი დანაზოგი

+ კაპიტალური ტრანსფერების წმინდა მიღება დანარჩენი მსოფლიოდან

- მთლიანი კაპიტალის ფორმირება

- არაწარმოებული არაფინანსური აქტივების წმინდა შესყიდვა

ეროვნული ანგარიშები
(ეას 2008-ის მიხედვით)

	გამოყენება / ცვლილებები აქტივებში	**რესურსები** / ცვლილებები ვალდებულებებსა და წმინდა ღირებულებაში
წარმოების ანგარიში	შუალედური მოხმარება (P.2) **მთლიანი შიდა პროდუქტი (B.1)**	**გამოშვება საბაზრო ფასებში (P.1**
შემოსავლების ფორმირების ანგარიში	დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება (D.1); (გადასახადებს - სუბსიდიები) პროდუქციასა და იმპორტზე (D.2-D.3); **შერეული შემოსავალი (B.3) + საოპერაციო მოგება (B.2)**	**მთლიანი შიდა პროდუქტი (B.1)**
შემოსავლების პირველადი განაწილება	საკუთრებიდან მიღებული შემოსავლები (D.4); **მთლიანი ეროვნული შემოსავალი (B.5)**	**შერეული შემოსავალი (B.3) + საოპერაციო მოგება (B.2);** დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება (D.1); (გადასახადებს - სუბსიდიები) პროდუქციასა და იმპორტზე (D.2-D.3); საკუთრებიდან მიღებული შემოსავლები (D.4)

	გამოყენება / ცვლილებები აქტივებში	**რესურსები** / ცვლილებები ვალდებულებებსა და წმინდა ღირებულებაში
შემოსავლების მეორადი განაწილება	შემოსავალსა და ქონებაზე გადასახადების გადახდა (D.5); სოციალური შემოწირულობებისა და სხვა სოციალური შენატანების გადახდა (D.6); სხვა მიმდინარე ტრანსფერების გადახდა (D.7); **მთლიანი განკარგვადი შემოსავალი (B.6)**	**მთლიანი ეროვნული შემოსავალი (B.5);** შემოსავალსა და ქონებაზე გადასახადების მიღება (D.5); სოციალური შემოწირულობებისა და სხვა სოციალური შენატანების მიღება (D.6); სხვა მიმდინარე ტრანსფერების მიღება (D.7)
შემოსავლების გამოყენების ანგარიში	**ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე (P.3), მათ შორის:** შინამეურნეობების; სახელმწიფოსა და შმაკოების **მთლიანი დანაზოგი (B.8)**	**მთლიანი განკარგვადი შემოსავალი (B.6);**
კაპიტალის ანგარიში	ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება (P.51); მარაგების ცვლილება (P.52); ფასეულობათა წმინდა შეძენა(P.53); არაწარმოებული არაფინანსური აქტივების წმინდა შეძენა (K.2); **წმინდა დაკრედიტება / სესხება (B.9)**	**მთლიანი დანაზოგი (B.8);** კაპიტალური ტრანსფერების მიღება **მინუს** კაპიტალური ტრანსფერების გადახდა (D.9)